<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:484226 Y:4617977
X:484168 Y:4617938
ჯემალ ცერცვაძის ქ.
X:484146 Y:4617849
N
1:1,000

Address:
49a, Cavchavadze ave.
0162, Tbilisi, Georgia

Tel.: +995 32 224 48 77
Fax: +995 32 224 48 76

geohf@access.sanet.ge
office@geohandball.ge
www.geohandball.ge

მისამართი:
ქავჭავაძის გამზირი 49ა
0162, თბილისი
საქართველო

საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:
GE39BG0000000339969200

საიდენტიფიკაციო კოდი:
204885124

Intermediary Bank:
Commerzbank,
Frankfurt, Germany:
Swift: COBADEFF
Account with Institution:
Bank of Georgia
3, Pushkin Street
0105, Tbilisi, Georgia
Swift: BAGAGE22
Corr.acc.: 9471129 EUR
Beneficiary Customer
Georgian National Handball Federation
Account number:
GE29BG0000000129087500

საქართველოს
ხელბურთის
ეროვნული
ფედერაცია

Georgian
National
Handball
Federation

№ 342 12.12 2022 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს,

ბატონო გიორგი,

გასული საუკუნის მსოფლიო ხელბურთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა გამოჩენილმა ქართველმა ხელბურთელმა ჯემალ ცერცვაძემ.

ჯემალ ცერცვაძის სპორტული კარიერა მრავალფეროვანი და გამორჩეულია: სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 1964), სამგზის მეორე (1965,1966, 1967) და მესამე (1963) პრიზიორი, ზედიზედ ათჯერ დასახელდა ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი, მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე, სადაც ორჯერ იქნა აღიარებული ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ. სამჯერ იქნა შეყვანილი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული 78 მატჩიდან გატანილი აქვს 276 გოლი. 1966 წელს დანიის საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც მცირე მსოფლიო ჩემპიონატი უწოდეს, ბატონ ჯემალს „ხელბურთის პელე" შეარქვეს.

ქართული ხელბურთის ლეგენდა, ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი სპორტისა და ხელბურთის გულშემატკივრებმა 2019 წლის 31 იანვარს თბილისის სპორტის სასახლიდან, უკანასკნელ გზაზე გააცილეს.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია მოგმართავთ თხოვნით, რათა სპორტისა და კერძოდ ხელბურთის განვითარებაში მისი დამსახურებისა და ღვაწლის დასაფასებლად, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ჯემალ ცერცვაძის სახელი.

ღრმა პატივისცემით,

ვახტანგ მეიფარიანი
პრეზიდენტი

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია
GEORGIAN NATIONAL HANDBALL FEDERATION
204885124

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032314956**
თარიღი: **29/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვახტანგ მეიფარიანის 2022 წლის 13 დეკემბრის საქმე #10/032234718-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ჯემალ ცერცვაძის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთის, მასთან არსებული ჩიხის და შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ჯემალ ცერცვაძის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123152393**
თარიღი: **01/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.05.2023 წლის #03-032314956 (29.05.2023 წ. #14-01231492103-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ჯემალ ცერცვაძე

(1939-2019)

ქართველი ხელბურთელი

თამაშობდა თბილისის ბურევესტნიკსა (1958–1975) და სსრკ ნაკრებში (1959–1972). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962–1964), სამგზის მეორე (1965, 1966, 1967) და მესამე (1963) პრიზიორი. ზედიზედ ათჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის სახელი (1962–1971), მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი (1968), მონაწილეობდა სამ მსოფლიო ჩემპიონატში (1964, 1967, 1970), აქედან ორში (1964, 1967) ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს, სამჯერ იყო შეყვანილი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 78 მატჩი, გაიტანა 276 გოლი.

ფენომენალური ტექნიკის, თავბრუდამხვევი ფინტებისა და მეტოქეთათვის ამოუცნობი ტყორცნების გამო შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატზე (1967) „ხელბურთის პელედ“ მონათლეს. ყოფილ სსრკ სივრცეში პირველმა დააარსა ოლიმპიური რეზერვების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა (1980), რომელიც მის სახელს ატარებს.

გარდაიცვალა 2019 წლის 28 იანვარს, 79 წლის ასაკში.